საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

15/01/2026

MES 4 26 0000087006

გადაწყვეტილება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 29 სექტემბრის №1239700 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო და "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ააკრედიტაციო შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილება:

ა) 1.2 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში "ა" და "ვ" შეიცვალოს ზმნები, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს მე-8 დონეს." გადავიდა რჩევაში შემდეგი სახით - "სასურველია, სწავლის შედეგებში "ა" და "ვ" შეიცვალოს ზმნები, იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს მე-8 დონეს." ამან გამოიწვია პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტის შეფასება და იგი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ამას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) 3.1 კომპონენტში კლასტერული რეკომენდაცია:

"რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა მიმდინარე პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მიზანმიმართული საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საშუალებით."

საბჭომ გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით":

"სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა მიმდინარე პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მიზანმიმართული საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების საშუალებით."

ამან გამოიწვია მე-3 სტანდარტის 3.1 კომპონენტის შეფასება და იგი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ამას არ გამოუწვევია მე-3 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გ) 5.1 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია საბჭომ გააუქმა:

"რეკომენდებულია, გადაიხედოს ორივე პროგრამის სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და სამაგისტრო და სადოქტორო განათლების დონეებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, კონსულტაციების და აკადემიური პერსონალისთვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების მეშვეობით აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი აღნიშნულ პროცესს." ამან გამოიწვია მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის შეფასება და იგი, ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ამას არ გამოუწვევია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 25 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო და "ინფორმატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 15 იანვრის სხდომის №26849 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები.

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხელმძღვანელების ჩართულობა სამეცნიერო პუბლიკაციებში და კოლაბორაციულ კვლევებში, ასევე გაიზარდოს მონაწილეობა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, კონფერენციებში და ერთობლივ პროექტებში; (4.2)
- რეკომენდებულია, დაინერგოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების, ფულადი დაჯილდოვების ან აღიარების მკაფიო მექანიზმები კვლევებში მონაწილეობისთვის და საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის. (4.3)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გაზარდოს ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტუდენტების პრაქტიკის და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯები. აღნიშნული გააძლიერებს პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობებს, ოპერაციულ მოქნილობას და განამტკიცებს როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამების სამეცნიერო შედეგებს და საერთაშორისო ხილვადობას. რეკომენდებულია, პერსონალმა აქტიურად მოიძიოს დამატებითი დაფინანსების წყაროები საერთაშორისო პარტნიორებისგან და ადგილობრივი ბიზნესებისგან. (4.5)

რეკომენდაციები „ინფორმატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს ყველა საჭირო მოთხოვნა და გამოქვეყნდეს ვებ - გვერდზე, რათა დაშვების წინაპირობები უფრო გამჭვირვალე გახდეს სტუდენტებისთვის. (2.1)
- რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს კომპონენტებს, რომლებიც სტუდენტებში განავითარებს სადოქტორო საფეხურის შესაბამის კვლევით კომპეტენციებს.(2.2)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 13 იანვრის №23939 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613-პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	კორპ. N2, პოლიტკოვსკაიას 26 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.12.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 25.12.2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25.12.2032